ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA010102375674616

**№16/164767**

**27** / ივნისი / **2016** წ.

დიმიტრი ბიწაძე 54001008748 მის. გ. ბრწყინვალის
# 21

ბატონო დიმიტრი,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #153530/07 და #192491/12 წერილების პასუხად გაცნობებთ: სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში (სექტორი მთაწმინდა), თაბუკაშვილის (ყოფ. ძნელაძის) ქ. #33-ში (საკ. კოდი N01.15.04.011.002) მდებარე ობიექტის (სასტუმროს რეკონსტრუქცია) გადამოწმებით დადგინდა, რომ დასრულდა დასასრულებელი სამუშაოები, კერძოდ;

„1-4" ფასადი: +0.00 ნიშნულზე მოეწყო ლითონის მოაჯირი (შეიცვალა მოაჯირის ფორმა). „4-4" ღერძის გარეთ მოეწყო ჭიშკრი და კაპიტალური ღობე.

„4-1" ფასადი: „1-1" ღერძის გარეთ მოეწყო ლითონის ცხაურა. „2-1" მონაკვეთში ბაქნის და კარის ძირი მოპირკეთდა.

„ა-გ" ფასადი: +0.00 ნიშნულზე მოეწყო მოაჯირი. „ბ-გ" მონაკვეთში შენობის ძირში კედელი მოპირკეთდა.

„გ-ა" ფასადი: -0.59 ნიშნულზე შენობის ძირი მოსაპირკეთებელია. ამავე ნიშნულის ზემოთ მოეწყო ლითონის ცხაურები და კარი (შეიცვალა ცხაურების ფორმა).

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.15.04.011.002

# ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

**განცხადების რეგისტრაცია**
**N 882016198400 - 31/03/2016 12:32:49**

**მომზადების თარიღი**
**31/03/2016 15:21:02**

## საკუთრების განყოფილება

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი |
|---|---|---|---|
| თბილისი | მთაწმინდა | | |
| **01** | **15** | **04** | **011/002** |

**მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა თაბუკაშვილი (ყოფ.ბნელაძე), N 33**

**ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება
**ნაკვეთის დანიშნულება:** არასასოფლო სამეურნეო
**დაზუსტებული ფართობი:** 309.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**11;**
**შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:** N1-მშენებარე

## მესაკუთრის განყოფილება

**განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882016198400 , თარიღი 31/03/2016 12:32:49**
**უფლების რეგისტრაცია: თარიღი 31/03/2016**

**უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:**

- ხელშეკრულება უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ , დამოწმების თარიღი:02/09/2011 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- გადაწყვეტილება N2505310 , დამოწმების თარიღი:28/03/2016 , ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
- გადაწყვეტილება N1837590 , დამოწმების თარიღი:16/04/2015 , ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

**მესაკუთრეები:**
**შპს "ოაზისი 9"** , ID ნომერი:211322736

**მესაკუთრე:**
**შპს "ოაზისი 9"**

**აღწერა:**

## იპოთეკა

**განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882015150343 თარიღი 18/03/2015 17:28:08**

**იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი"**204854595;
**მესაკუთრე: შპს "ოაზისი 9"** 211322736;
საგანი:მიწის ნაკვეთი - დაზუსტებული ფართობი: 309.00 კვ.მ. მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით;

**იპოთეკის ხელშეკრულება N123123303399-1 , რეესტრის ნომერი N150258323, დამოწმების თარიღი17/03/2015, ნოტარიუსი მ. გვაზავა**

**უფლების რეგისტრაცია: თარიღი 18/03/2015**

**საგადასახადო გირავნობა:**

რეგისტრირებული არ არის

## სარგებლობა

| | |
|---|---|
| განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882016165468 თარიღი 18/03/2016 16:52:54 | მოიჯარე: შპს არტი 402030529;<br>მესაკუთრე: შპს "ოაზისი 9" 211322736;<br>საგანი:მიწის დაზუსტებული ფართობი: 309.00 კვ.მ./მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობ(ებ)ით ;<br>საბოლოო თარიღი:15/04/2021; |
| უფლების რეგისტრაცია: თარიღი 21/03/2016 | ხელშეკრულება იჯარის შესახებ N სას-18-03/16, რეესტრის ნომერი N160258604, დამოწმების თარიღი18/03/2016, ნოტარიუსი დ.მეფარიშვილი |

## ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

# საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.15.04.011.002**

განცხადების ნომერი: **882016198400**

მომზადების თარიღი: **31/03/2016**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**

ფართობი: **309 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**




კოორდინატთა სისტემა: WGS 84 / UTM zone 38N

მასშტაბი 1:200

ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

ხაზობრივი ნაგებობა

ტყის ფონდი

05/25 შენობა/ნაგებობა

05/25 მშენებარე ნაგებობა

ვალდებულება


N
W
E
S
309.2 88.8 / 011504011002
25 ug
4616750
4616750

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA010170236343616

**№16/32233** **15 / თებერვალი / 2016 წ.**

დიმიტრი ბიწაძე, 54001008748, გ. ბრწყინვალეს ქ.
#21

ბატონო დიმიტრი,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #125031/12 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის შესახებ.

დანართი ,, 2" (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ გ 125031/12
"15" 02 2016 წ.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**ქ. თბილისში, (სექტორი-მთაწმინდა), თაბუკაშვილის (ყოფილი ძნელაძის) ქ. №33-ში (საკ. კოდი №01.15.04.011.002) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სასტუმროს რეკონსტრუქცია) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.**

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №19 81564 01.07.2015წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, (სექტორი-მთაწმინდა), თაბუკაშვილის (ყოფილი ძნელაძის) ქ. №33-ში (საკ. კოდი №01.15.04.011.002) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია წყლის მილების მოწყობა და დეკორატიული ელემენტების ფორმა. დამატებული და შეცვლილია გამწოვი მილების მოწყობა. +19.30 ნიშნულის ზემოთ შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. სამერცხეების გვერდებზე მოწყობილია თუნუქის ფურცელი. შეცვლილია რელიეფის დონე.

**„1-4" ფასადი:** ±0.00 ნიშნულზე არ არის მოწყობილი ლითონის მოაჯირი. „4-4" ღერძის გარეთ ჭიშკრის და კაპიტალური ღობის ნაცვლად მოწყობილია თუნუქის ფურცლები. +22.30 ნიშნულის ზემოთ „2-2" ღერძთან ფრამუგასთან მოწყობილია მილები.

**„4-1" ფასადი:** „1-1" ღერძის გარეთ არ არის მოწყობილი ლითონის ცხაური. პირველ სართულზე „4-3" მონაკვეთში მოწყობილია მილი და ლითონის კონსტრუქცია. „2-1" მონაკვეთში ბაქნის და კარის ძირში კედლის ნაწილი მოსაპირკეთებელია. +3.30 ნიშნულის ზემოთ „3-3" ღერძთან შეცვლილია ფანჯრების მდებარეობა.

**„ა-გ" ფასადი:** -0.83 ნიშნულზე „ა-ა" ღერძის გარეთ შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. „ა-ბ" მონაკვეთში მოწყობილია ბეტონის ბაქანი და გენერატორი. ამავე მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ბაქნის ფორმა და არ არის მოწყობილი მოაჯირი. „ბ-გ" მონაკვეთში შენობის ძირში კედლის ფრაგმენტი მოსაპირკეთებელია. +3.30 ნიშნულზე „ა-ა" ღერძის გარეთ მოწყობილია მოაჯირი. +23.30 ნიშნულზე „გ-გ" ღერძის გარეთ გაუქმებულია ფრამუგა.

**„გ-ა" ფასადი:** -0.59 ნიშნულზე შენობის ძირი მოსაპირკეთებელია. ამავე ნიშნულის ზემოთ ლითონის ცხაურების და კარის ნაცვლად მოწყობილია თუნუქის ფურცლები._„ბ-ბ" ღერძთან მოწყობილი ორი მილი. +14.60 ნიშნულზე არ არის მოწყობილი მსუბუქი გადახურვა. +21.45 ნიშნულზე „გ-ა" მონაკვეთში კედლის ნაწილი შეღებილია განსხვავებული ფერით. ამავე ნიშნულზე „ბ-ბ" ღერძთან შეცვლილია კარის ნახატი, გაბარიტი და ღობის ფერი. +24.00 ნიშნულზე შეცვლილია გადახურვის ფილის და პარაპეტის ფორმა.

შენობის შიგნით ნაწილობრივ შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. +22.10 ნიშნულზე ლიფტის სამანქანოში შეცვლილია ფილის დონე, ხოლო +21.30 ნიშნულზე შეცვლილია სართულის სიმაღლე. სახურავზე „გ-ბ" მონაკვეთში შეცვლილია კონსტრუქციის მოწყობა.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

**შენობის და „4-4" ღერძის გარეთ კიბის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს.**

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. შპს „ოაზისი 9"-ს, ზაალ იაკობიძეს, ქ. თბილისში, (სექტორი-მთაწმინდა), თაბუკაშვილის (ყოფილი ძნელაძის) ქ. №33-ში (საკ. კოდი №01.15.04.011.002) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სასტუმროს რეკონსტრუქცია) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**საფუძველი:** №125031/12 30.12.2015წ. განცხადება.

**სამსახურის უფროსის მოადგილე** **გიორგი გეჯაძე**